პროექტი

საქართველოს კანონი
"საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი, 1984 წლის № 12, მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 1441-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუxლი 144[1]. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა გამოიწვევს დაxარიმებას 5 000 ლარის ოდენობით."

2. ამოღებულ იქნას 1442 - 1446 – 1449-ე მუხლები;

1. 228-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 228. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ამ კოდექსის 141-ე, 142-ე, 1441 და 1443-ე - 1445 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი